<u>გზშ და სგშ განცხადებები</u>

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადება - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ,,ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის" კონცეფციის სამუშაო ვერსია

სტრატეგიული დოკუმენტის დასახელება: ,,ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის" კონცეფციის სამუშაო ვერსია
სექტორი: დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა
დამგეგმავი ორგანო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

2018 წელს, საქართველოში დაინერგა ახალი - სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნის სექტორული დაგეგმარების პროცესში გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების ინტეგრირებას.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას.

2021 წლის 21 ივლისს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ,,ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის" კონცეფციის სამუშაო ვერსია და სკოპინგის განცხადება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით. სკოპინგის პროცედურა განსაზღვრავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს.

წარმოდგენილ სკოპინგის განცხადებასა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებული წერილობითი **შენიშვნები და მოსაზრებები** შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2021 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე:** eia@mepa.gov.ge

მოცულობიდან გამომდინარე, სრული დოკუმენტაცია გთხოვთ იხილოთ შემდეგ <u>ელ.ბმულზე.</u>